№2353 2015 წლის 29 ოქტომბერი ქ. თბილისი

,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 მარტის №429 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 მარტის №429 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და განკარგულების დანართს დაემატოს მე-18, მე-19 და მე-20 პუნქტები:

„18. სსიპ – საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“ – არა უმეტეს 20 ერთეულისა.

19. სსიპ – საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი – არა უმეტეს 35 ერთეულისა.

20. სსიპ – ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი – არა უმეტეს 10 ერთეულისა.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**